თვითმმართველი ქალაქის –ქუთაისის მერიის საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი
№2

ქ. ქუთაისი 13 დეკემბერი 2011 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

დავით ანდღულაძე	–ქ. ქუთაისის მერის მოადგილე, საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე.
კოტე რატიანი	–ქ. ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი, საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.
ლევან ჭანჭალეიშვილი	–ქ. ქუთაისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი, საკონკურსო კომისიის წევრი.
ვასილ მებურიშვილი	–ქ. ქუთაისის მერიის არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის უფროსი, საკონკურსო კომისიის წევრი.
ირაკლი გიორგაძე	-ქ ქუთაისის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი, საკონკურსო კომისიის წევრი.
ნოდარ მიქიაშვილი	–ქ. ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსის მოადგილე, კომისიის წევრი, სატენდერო კომისიის აპარატის უფროსის მოადგილე.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი : კონკურსის მეშვეობით ქალაქ ქუთაისში ქუჩის სავალი ნაწილისა და კერძო მოსახლეობის ეზოების დამცავი კედლის გაშენების (ტოპოგრაფიული და გეოლოგიური საძიებო სამუშაოების ჩათვლით) საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის (8 ობიექტი) შესახებ.

განხილვა: საკონკურსო კომისიის წევრმა ნოდარ მიქიაშვილმა კომისიის წევრებს მოახსენა, რომ აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დალუქული კონვერტი წარმოადგინა – შ.პ.ს ,,კარიბჭე"–მ.

ამის შემდეგ დალუქული კონვერტი გაიხსნა კონკურსანტის თანდასწრებით და განხილული იქნა საკონკურსო დოკუმენტაცია.

განხილვის შედეგად აღმოჩნდა, რომ შ.პ.ს ,,კარიბჭე"–ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია არ შეესაბამება საკონკურსო განცხადების და სოკონკურსო დოკუმენტაციის მოთხოვნებს (საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს არა აქვს მითითებული უნიკალური ნომერი, ასევე არა აქვს წარმოდგენილი ინფორმაცია კონკურსანტის მიერ განხორცელებული ანალოგიური მომსახურების შესახებ).

აზრი გამოთქვეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ – დავით ანდღულაძემ.
საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ – კოტე რატიანმა.
კომისიის წევრებმა: ვასილ მებურიშვილმა და ნოდარ მიქიაშვილმა.

დაადგინეს:

1. ,,კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების მე–4 მუხლის მე–8 პუნქტის შესაბამისად საკონკურსო კომისიამ მოახდინა შ.პ.ს ,,კარიბჭე"–ს საკონკურსო წინადადების დისკვალიფიკაცია და კონკურსი ჩაითვალოს უარყოფითი შედეგით დასრულებულად.

2. დაევალოს საკონკურსო კომისიას, მოახდინოს აღნიშნული საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმის გაგზავნა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.procurement.gov.ge) გამოქვეყნების მიზნით, რათა კონკურსს მიანიჭოს სტატუსი – კონკურსი დასრულდა უარყოფითი შედეგით.

3. ქალაქ ქუთაისის მერიის მიერ ქალაქ ქუთაისში ქუჩის სავალი ნაწილისა და კერძო მოსახლეობის ეზოების დამცავი კედლის გაშენების (ტოპოგრაფიული და გეოლოგიური საძიებო სამუშაოების ჩათვლით) საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის (8 ობიექტი) სახელმწიფო შესყიდვის მიზნით კონკურსი გამოცხადდეს განმეორებით.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: დავით ანდღულაძე

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: კოტე რატიანი

კომისიის წევრები:

ლევან ჭანჭალეიშვილი

ვასილ მებურიშვილი

ირაკლი გიორგაძე

ნოდარ მიქიაშვილი